სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულება №

ქ. თბილისი ---- ივლისი, 2019 წელი

ერთი მხრივ, სპეციალური პენიტენციური სამსახური (შემდგომში – „შემსყიდველი“), წარმოდგენილი ---------- და, მეორე მხრივ, ---------- (შემდგომში – „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის ---------- მიერ (ერთობლივად – „მხარეებად“ წოდებულნი), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 33-ე მუხლის საფუძველზე, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სპეციალური პენიტენციური სამსახურის (შემდგომში – სპეციალური პენიტენციური სამსახური) პენიტენციურ დაწესებულებებში (შემდგომში – დაწესებულება) მოთავსებულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა, პენიტენციური დეპარტამენტის ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა მთავარი სამმართველოს მოსამსახურეთა (შემდგომში – ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა მთავარი სამმართველო), პენიტენციური დეპარტამენტის გარე დაცვის მთავარი სამმართველოს (შემდგომში – გარე დაცვის მთავარი სამმართველო) სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა და პენიტენციური დაწესებულებების მოსამსახურეთა კვებითი მომსახურების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად (CPV55500000 – საზოგადოებრივი კვების მომსახურებები სხვა საწარმოებისათვის/დაწესებულებებისთვის);

1.2. ამ ხელშეკრულების 1.1. მუხლით განსაზღვრულ ძირითად ნაწილთან ერთად მისი არსებითი პირობაა, ასევე, მიმწოდებლისათვის ამ ხელშეკრულების თანახმად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართების – მიწის ნაკვეთების ან/და შენობა-ნაგებობის ნაწილების (რომელთა რაოდენობა, ზუსტი მდებარეობა და მახასიათებლები განისაზღვრება მხარეთა დამატებითი შეთანხმებით, ხოლო ზოგადი დახასიათება – ამ ხელშეკრულების 1.3. და 1.4. მუხლებით) – სარგებლობაში გადაცემა;

1.3. ამ ხელშეკრულების 1.2. მუხლით განსაზღვრული სარგებლობაში გადასაცემი ქონება მოიცავს 3 (სამი) პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე ----დან (----------) ----- (----------) $მ^2$ (თითოეულისათვის) ფართობის მქონე სივრცეს, რომელსაც შემსყიდველთან შეთანხმებული ფორმით საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი პურის საწარმოს მოწყობით, ექსპლუატაციითა და ფუნქციონირებით, სადაც დასაქმდებიან შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული ბრალდებულები/მსჯავრდებულები. საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები წესრიგდება ამ ხელშეკრულებით;

1.4 ამ ხელშეკრულების 1.2. მუხლით განსაზღვრული სარგებლობაში გადასაცემი ქონება მოიცავს 5.2 მუხლით განსაზღვრულ მომსახურების გაწევის ადგილებზე არსებული კვებითი მომსახურების გაწევისათვის საჭირო ფართს (კვების ბლოკი) (დანართი №...-ის შესაბამისად).

მუხლი 2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს დაწესებულებებში მოთავსებული ბრალდებულ(ებ)ის/მსჯავრდებულ(ებ)ის, ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა მთავარი სამმართველოს მოსამსახურეების, გარე დაცვის მთავარი სამმართველოს სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეების და პენიტენციური დაწესებულებების მოსამსახურეების კვებითი მომსახურება;

№	**შესყიდვის ობიექტი**	**სავარაუდო რაოდენობა (კაცი)**	**ღირებულება (ლარი)**		
			ერთი კაცი (დღე)	სულ დღეში	01.07.2019-31.12.2022 (1280 დღე)
1	პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებული ბრალდებულების/მსჯავრდებულების კვებითი მომსახურება (სამჯერადი კვება)	10000			
2	პენიტენციური დეპარტამენტის გარე დაცვის მთავარი სამმართველოს სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეების კვებითი მომსახურება (სამჯერადი კვება)	150			
3	პენიტენციური დეპარტამენტის გარე დაცვის მთავარი სამმართველოს განწესში მყოფი სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეების კვებითი მომსახურება (მშრალი ულუფა)	50			
4	პენიტენციური დაწესებულებების მოსამსახურეები (ორჯერადი კვება)	550			
5	ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა მთავარი სამმართველოს მოსამსახურეები (მშრალი ულუფა)	90			
ჯამი:					

2.2. ამ ხელშეკრულების 2.1. მუხლში მითითებულ დაწესებულებებში კვებითი მომსახურება უნდა განხორციელდეს 2019 წლის 01 ივლისიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მთელი პერიოდის განმავლობაში უწყვეტად, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების, დადგენილი

კვების ნორმების, სათანადო მენიუებისა და ჩანაცვლების ნორმების მიხედვით, რაც სრულ თანხვედრაში უნდა იყოს საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

მუხლი 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნული ვალუტით – ლარით;

3.2. ამ ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების გათვალისწინებით, თითოეული ბრალდებულის/მსჯავრდებულის კვებისათვის ყოველდღიურად განსაზღვრული თანხა შეადგენს ---------- (----------) ლარს. მიმწოდებელი არ არის უფლებამოსილი ამ პუნქტით დადგენილი ფასის შეუსაბამობის მიზეზით შეამციროს ან სხვა რაიმე ფორმით დაარღვიოს ბრალდებულის/მსჯავრდებულის კვების ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმები;

3.3. ამ ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების გათვალისწინებით, გარე დაცვის მთავარი სამმართველოს თითოეული სავალდებულო სამხედრო მოსამსახურის კვებისათვის ყოველდღიურად განსაზღვრული თანხა შეადგენს ------- (----------) ლარს. მიმწოდებელი არ არის უფლებამოსილი ამ პუნქტით დადგენილი ფასის შეუსაბამობის მიზეზით შეამციროს ან სხვა რაიმე ფორმით დაარღვიოს გარე დაცვის მთავარი სამმართველოს სავალდებულო სამხედრო მოსამსახურის კვების ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმები;

3.4. ამ ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების გათვალისწინებით, გარე დაცვის მთავარი სამმართველოს თითოეული განწესში მყოფი სავალდებულო სამხედრო მოსამსახურის კვებისათვის ყოველდღიურად განსაზღვრული თანხა შეადგენს ------- (----------) ლარს. მიმწოდებელი არ არის უფლებამოსილი ამ პუნქტით დადგენილი ფასის შეუსაბამობის მიზეზით შეამციროს ან სხვა რაიმე ფორმით დაარღვიოს გარე დაცვის მთავარი სამმართველოს განწესში მყოფი სავალდებულო სამხედრო მოსამსახურის კვების ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმები;

3.5. ამ ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების გათვალისწინებით, ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა მთავარი სამმართველოს თითოეული მოსამსახურის კვებისათვის ყოველდღიურად განსაზღვრული თანხა შეადგენს ------- (----------) ლარს. მიმწოდებელი არ არის უფლებამოსილი ამ პუნქტით დადგენილი ფასის შეუსაბამობის მიზეზით შეამციროს ან სხვა რაიმე ფორმით დაარღვიოს ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა მთავარი სამმართველოს მოსამსახურის კვების ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმები;

3.6. ამ ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების გათვალისწინებით, პენიტენციური დაწესებულების თითოეული მოსამსახურის კვებისათვის ყოველდღიურად განსაზღვრული თანხა შეადგენს ------ (----------) ლარს. მიმწოდებელი არ არის უფლებამოსილი ამ პუნქტით დადგენილი ფასის შეუსაბამობის მიზეზით შეამციროს ან სხვა რაიმე ფორმით დაარღვიოს პენიტენციური დაწესებულების მოსამსახურის კვების ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმები;

3.7. ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს ---------- (----------) ლარს. მხარეები აცნობიერებენ, რომ ამ პუნქტში მითითებული ღირებულება არის სავარაუდო, რამდენადაც მთლიანი ღირებულება დამოკიდებულია იმ პირთა რაოდენობაზე, რომელთა რიცხვის წინასწარ ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია ამ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის. ჯამური ღირებულების ამგვარად განსაზღვრა უფლებას არ ანიჭებს მიმწოდებელს, უარი განაცხადოს ვალდებულებების შესრულებაზე ღირებულების გადაჭარბების ან

შეთანხმების მიუღწევლობის მოტივით, ან ამავე მიზეზით ჰქონდეს რაიმე სახის პრეტენზია შემსყიდველის მიმართ;

3.8. ხელშეკრულების 3.2-3.6 მუხლებში მითითებული ფასები მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა მოსაკრებელსა და გადასახადს. შემსყიდველს არ შეიძლება, დაეკისროს აღნიშნულ ფასზე რაიმე დამატებითი ხარჯი;

3.9. ხელშეკრულებით განსაზღვრული ფასები ფიქსირებულია და მისი შეცვლა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობითა და ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობებითა და წესით.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის (მომსახურების) ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის (მომსახურების) და მის მიერ მიწოდებული ყველა პროდუქტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია, კვებითი მომსახურების გაწევისას გამოიყენოს მაღალი ხარისხის საკვები პროდუქტი, ხოლო წარმოებული პროდუქციის უვნებლობამ და ხარისხმა დააკმაყოფილოს როგორც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და მოქმედი სტანდარტები, ისე დანართი №3-ით გათვალისწინებული ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლები;

4.3. მიმწოდებელი ვალდებულია, თავად უზრუნველყოს ამ მუხლით დადგენილი, ხელშეკრულების არსებითი პირობების ზედმიწევნით დაცვა, რაც დადასტურებული იქნება სათანადო დოკუმენტაციით. ამასთან, რომელიმე პროდუქტის ან მომსახურების სტანდარტის გამოყენება არ ანიჭებს მიმწოდებელს უფლებას, ამ მუხლით დადგენილი ნორმების შეუსაბამოდ განაგრძოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება ან/და გამეორება, თუნდაც, ამის შესახებ ინფორმირებული ყოფილიყო შემსყიდველი და მას არ ჰქონოდა გამოყენებული შესაბამისი სანქციები მიმწოდებლის მიმართ. იგივე წესი მოქმედებს პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებასთან მიმართებითაც.

4.4. ამ მუხლით დადგენილი ნორმების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება ხელშეკრულების მე-9 მუხლის შესაბამისად.

4.5. მხარეები აცხადებენ და ადასტურებენ, რომ ამ ხელშეკრულებით, ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მომსახურების ხარისხი (მათ შორის მიწოდებული პროდუქტების, ასევე მისი მიწოდების ხარისხი, ნორმები და სხვა) არის ხელშეკრულების არსებითი პირობა და მიმწოდებლის ვალდებულების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის დარღვევის (შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების) შემთხვევაშიც მიმწოდებელს არ აქვს უფლება მიუთითოს/დაეყრდნოს ამ ვალდებულების დარღვევის უმნიშვნელობაზე.

მუხლი 5. მომსახურების გაწევის ვადები, ადგილი და პირობები

5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება უწყვეტად უნდა განხორციელდეს ყოველდღიურად, 2019 წლის 01 ივლისიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

5.2. შესყიდვის ობიექტის (მომსახურების) გაწევის ადგილებია:

ობიექტის დასახელება		მისამართი
ბრალდებულ/მსჯავრდებულები; პენიტენციური დაწესებულებების მოსამსახურეები	№2 დაწესებულება	ქუთაისი, ხარებავას ქ., ბოლო მონაკვეთი
ბრალდებულ/მსჯავრდებულები; პენიტენციური დაწესებულებების მოსამსახურეები	№3 დაწესებულება	ბათუმი, თევდორე მღვდლის ქ. №3
ბრალდებულ/მსჯავრდებულები; პენიტენციური დაწესებულებების მოსამსახურეები	№5 დაწესებულება	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. მთისძირი
ბრალდებულ/მსჯავრდებულები; პენიტენციური დაწესებულებების მოსამსახურეები	№6 დაწესებულება	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. ციხისძირი
ბრალდებულ/მსჯავრდებულები; პენიტენციური დაწესებულებების მოსამსახურეები	№7 დაწესებულება	თბილისი, აბუსელიძე-ტბელის ქ. №11
ბრალდებულ/მსჯავრდებულები; პენიტენციური დაწესებულებების მოსამსახურეები	№8 დაწესებულება	თბილისი, გლდანის მე-7 მკრნ, მე-2 კმ
ბრალდებულ/მსჯავრდებულები; პენიტენციური დაწესებულებების მოსამსახურეები	№9 დაწესებულება	თბილისი, აბუსერიძე-ტბელის ქ. №11
ბრალდებულ/მსჯავრდებულები; პენიტენციური დაწესებულებების მოსამსახურეები	№11 დაწესებულება	თბილისი, გრ. ხანძთელის ქ. №3
ბრალდებულ/მსჯავრდებულები; პენიტენციური დაწესებულებების მოსამსახურეები	№12 დაწესებულება	რუსთავი, მშენებელთა ქ. №60
ბრალდებულ/მსჯავრდებულები; პენიტენციური დაწესებულებების მოსამსახურეები	№14 დაწესებულება	წყალტუბო, სოფელ გეგუთის საკრებულო
ბრალდებულ/მსჯავრდებულები; პენიტენციური დაწესებულებების მოსამსახურეები	№15 დაწესებულება	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქსანი
ბრალდებულ/მსჯავრდებულები; პენიტენციური დაწესებულებების მოსამსახურეები	№16 დაწესებულება	რუსთავი, მშენებელთა ქ. №60
ბრალდებულ/მსჯავრდებულები; პენიტენციური დაწესებულებების	№17 დაწესებულება	რუსთავი, მშენებელთა ქ. №64

მოსამსახურეები		
ბრალდებულ/მსჯავრდებულები; პენიტენციური დაწესებულებების მოსამსახურეები	№18 დაწესებულება	თბილისი, გლდანის მე-7 მკრნ, მე-2 კმ
ბრალდებულ/მსჯავრდებულები; პენიტენციური დაწესებულებების მოსამსახურეები	№19 დაწესებულება	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქსანი
პენიტენციური დეპარტამენტის გარე დაცვის მთავარი სამმართველოს სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეები (სამჯერადი კვება)		რუსთავი, მშენებელთა ქ. №60 რუსთავი, მშენებელთა ქ. №64
პენიტენციური დეპარტამენტის გარე დაცვის მთავარი სამმართველოს განწესში მყოფი სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეების კვებითი მომსახურება (მშრალი ულუფა)		რუსთავი, მშენებელთა ქ. №64
ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა მთავარი სამმართველოს მოსამსახურეები (მშრალი ულუფა)		ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა მთავარი სამმართველო – თბილისი, გლდანის VII მკრნ, მე-2 კმ; №3 დაწესებულება – ბათუმი, თევდორე მღვდლის ქ. №3; №2 დაწესებულება – ქუთაისი, ხარებავას ქ., ბოლო მონაკვეთი

5.3. სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა, ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა მთავარი სამმართველოს მოსამსახურეთა, გარე დაცვის მთავარი სამმართველოს სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა და პენიტენციური დაწესებულებების მოსამსახურეთა ტექნიკური დავალებით განსაზღვრული რიცხვი შესაძლებელია იყოს უფრო ნაკლები ან განსაკუთრებულ შემთხვევებში - უფრო მეტი. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას ყოველდღიურად (არაუგვიანეს 18:00 საათისა) კომპანიას მიაწოდოს დაწესებულებაში არსებული ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა, და მოსამსახურეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე დღეს არ განხორციელდა ამ პუნქტში მითითებული ინფორმაციის შეტყობინება, მიმწოდებელმა უნდა იხელმძღვანელოს ბოლო დღეს მიწოდებული ინფორმაციით;

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია, მისთვის მიწოდებული ამ ხელშეკრულების 5.3 მუხლში მითითებული ინფორმაციის შესაბამისად მოამზადოს საჭირო რაოდენობის კვების ულუფა და შემსყიდველის მხრიდან უფლებამოსილ პირს გადასცეს სათანადო დოკუმენტაციის თანხლებით. აღნიშნული დოკუმენტაცია გამოიყენება მიმწოდებელთან ანგარიშსწორებისას;

5.5. მომსახურების გაწევის პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისთვის სათანადო პერიოდულობით (სასაქონლო ზედნადები, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, მიღება-ჩაბარების აქტი);

5.6. ულუფის მომზადებისათვის საჭირო კვების პროდუქტების მიწოდებას/ტრანსპორტირებას ახორციელებს მიმწოდებელი საკუთარი ხარჯით. იგი ვალდებულია, უზრუნველყოს სატრანსპორტო ლოჯისტიკური პროცესი იმგვარად, რომ ამავე მიზეზით რაიმე გაუმართაობის შემთხვევაში ძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას საფრთხე არ შეექმნას. ამ მიზეზით ვალდებულებების შეუსრულებლობისას მიმწოდებელი არ გათავისუფლდება პასუხისმგებლობისგან ბრალის არარსებობის
მოტივით, თუკი არ დაასაბუთებს, რომ მან მიიღო ყველა გონივრული ზომა ზიანის თავიდან ასაცილებლად შემსყიდველი უფლებამოსილია, მოითხოვოს მიმწოდებლისგან ამ პუნქტით დადგენილი ვალდებულებების შესრულების შესაბამისი პირობების უზრუნველყოფის ამსახველი ინფორმაციის მიწოდება, ასევე, შეამოწმოს ინფორმაციის სისწორე მის მიერვე შერჩეული ფორმით.

მუხლი 6. შესყიდვის ობიექტის (მომსახურების) მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის (მომსახურების) მიღება ფორმდება ყოველდღიური მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით და ინახება შესაბამისი დაწესებულების ადმინისტრაციაში. ყოველდღიური მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, მხარეთა შორის შეთანხმებული სიხშირით დგება შემაჯამებელი მიღება-ჩაბარების აქტი, რაც იგზავნება სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გაწეული მომსახურების ანაზღაურების მიზნით;

6.2. შემსყიდველის მიერ არ ანაზღაურდება მენიუთი განსაზღვრული იმ კერძის/პროდუქტის ღირებულება, რაც, ფაქტობრივად, არ მიეწოდა ან მიეწოდა ამ ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამოდ (აღნიშნული კერძის/პროდუქტის ღირებულების ხვედრითი წილის დასადგენად დღიური კვების ღირებულების ტარიფი გაიყოფა დღიური მენიუს კალორაჟის ჯამურ ციფრზე და გამრავლდება იმ კერძის/პროდუქტის კალორიების ოდენობაზე, რაც უნდა მიწოდებოდა). მხარეები უფლებამოსილნი არიან, შეთანხმდნენ ცალკეულ შემთხვევაში დაანგარიშების განსხვავებულ წესზეც;

6.3. ხელშეკრულების 6.1. ქვეპუნქტში აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილნი არიან: შემსყიდველის მხრიდან – ბრალდებულ/ მსჯავრდებულთა და პენიტენციური დაწესებულების მოსამსახურეთა შემთხვევაში – შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების დირექტორი ან დირექტორის მოადგილე; ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა მთავარი სამმართველოს შემთხვევაში – მთავარი სამმართველოს უფროსი, უფროსის მოადგილე ან შტაბის (სამმართველოს) უფროსი, ქუთაისის განყოფილების უფროსი, ბათუმის განყოფილების უფროსი; გარე დაცვის მთავარი სამმართველოს შემთხვევაში – წვევამდელთა მომზადების განყოფილების უფროსი ან უფროსის მოადგილე, ასევე, გარე დაცვის სამმართველოს №17 განყოფილების უფროსი ან მოადგილე, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან – დირექტორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი;

6.4. შემსყიდველი უფლებამოსილია, თავი შეიკავოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისაგან ამ ხელშეკრულების პირობებთან მისთვის მიწოდებული მომსახურების თავსებადობის, ვალდებულებათა ჯეროვნად შესრულების დამადასტურებელი ინფორმაციისა და მტკიცებულებების წარდგენამდე.

მუხლი 7. ანგარიშსწორების პირობები

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში – ლარში;

7.2. შესყიდვის ობიექტის (მომსახურების) ღირებულება ანაზღაურდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით;

7.3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, აუნაზღაუროს მიმწოდებელს მომსახურების ღირებულება ეტაპობრივად, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად, ამ ხელშეკრულების 6.1 მუხლით განსაზღვრული შემაჯამებელი მიღება-ჩაბარების აქტისა და წარმოდგენილი ანგარიშფაქტურის დადასტურებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. შემაჯამებელი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების პერიოდულობა დამოკიდებულია მხარეთა შეთანხმებაზე. შემსყიდველი უფლებამოსილია, მოითხოვოს შეთანხმებული პერიოდულობის შეცვლა;

7.4. შემსყიდველი უფლებამოსილია, თავი შეიკავოს ანგარიშსწორებისაგან იმ შემთხვევაში, თუ მას ესაჭიროება დამატებით ვადა ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების გადამოწმებისათვის და მის მიერ მოთხოვნილია მიმწოდებლისაგან დამატებითი ინფორმაციის/მტკიცებულებების მიწოდება, ან ასეთი ინფორმაციის/მტკიცებულებების მიღებას მოელის მესამე პირისაგან. ასეთ შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, დამატებით 7 (შვიდი) სამუშაო დღით გაახანგრძლივოს ამ ხელშეკრულების 7.3. მუხლით დადგენილი ვადა.

მუხლი 8. მხარეთა ვალდებულებები

8.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

8.1.1. ყოველკვირეული მენიუ-განრიგებით გათვალისწინებული საკვების მომზადებისას იხელმძღვანელოს „ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის №388 - №01-18/ნ ერთობლივი ბრძანებით და „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა მთავარი სამმართველოს მოსამსახურეთა, სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის გარე დაცვის მთავარი სამმართველოს მოსამსახურეთა, სპეციალური პენიტენციური სამსახურის სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დაწესებულების მოსამსახურეთა მატერიალურ-სასურსათო უზრუნველყოფის ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 8 აპრილის N393 ბრძანებით. დასახელებული ნორმატიული აქტების ცვლილების შემთხვევაში, მიმწოდებელს არ აქვს უფლება, გააგრძელოს საკვების მომზადება ამ ხელშეკრულების დადების დროისათვის არსებული ნორმებით;

8.1.2. ერთი პროდუქტი სხვა პროდუქტით ჩაანაცვლოს მხოლოდ „ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის №388 – №01-18/ნ ერთობლივი ბრძანებისა და „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა მთავარი სამმართველოს მოსამსახურეთა, სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის გარე დაცვის მთავარი სამმართველოს მოსამსახურეთა, სპეციალური პენიტენციური სამსახურის სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დაწესებულების მოსამსახურეთა მატერიალურ-

სასურსათო უზრუნველყოფის ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 8 აპრილის N393 ბრძანების შესაბამისად. დასახელებული ნორმატიული აქტების ცვლილების შემთხვევაში, მიმწოდებელს არ აქვს უფლება, გააგრძელოს საკვების მომზადება ამ ხელშეკრულების დადების დროისათვის არსებული ნორმებით;

8.1.3. მიმწოდებლის მიერ კვების მენიუში დაუშვებელია ცვლილებების შეტანა შემსყიდველთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე, ხოლო შეთანხმების შემდგომ, შესაძლებელი იქნება ერთი დღის მენიუს გადანაცვლება სხვა დღის მენიუთი, რომელიც დაბალანსებული იქნება არაუგვიანეს 2 (ორი) კვირის ვადაში. დაუშვებელია ჩანაცვლების ნორმების გამოყენება შემსყიდველთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე, ხოლო ასეთი უკიდურესი აუცილებლობა დადასტურებული უნდა იყოს სათანადო დოკუმენტაციით.8.1.4. ბრალდებულ(ებ)ის/მსჯავრდებულ(ებ)ის, მოსამსახურეების ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, უზრუნველყოს ისინი მათი ექიმის მიერ დანიშნული კვების ულუფით (დიეტა); უზრუნველყოს ბრალდებულ(ებ)ის/მსჯავრდებულ(ებ)ის კვება სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში ან/და სასამართლოში გადაყვანისას, რაც უნდა განახორციელოს საკვების ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი საჭირო ტემპერატურული რეჟიმის დაცვისა და საკვების საგემოვნო თვისებების შენარჩუნების ფუნქციის მქონე სპეციალური კონტეინერებით;

8.1.5. მშრალი სასურსათო ნორმის შეუფერხებლად მიწოდების უზრუნველყოფისთვის ასეთი სახის მომსახურების გაწევის ადგილას მუდმივად იქონიოს არანაკლებ 45 მოსამსახურისათვის განკუთვნილი მშრალი კვების მარაგი (დამატებითი საჭიროებისათვის). აღნიშნული მოთხოვნა არ ვრცელდება მომსახურების გაწევის ვადის გასვლის ბოლო 10 კალენდარულ დღეზე;

8.1.6. ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის, სამხედრო სავალდებულო მოსამსახურეთა და დაწესებულების მოსამსახურეთათვის კვების მომსახურების გაწევის ადგილებზე იქონიოს არამალფუჭებადი პროდუქტების არანაკლებ ორი კვირის მარაგისა (აღნიშნული მოთხოვნა არ ვრცელდება მომსახურების გაწევის ვადის გასვლის ბოლო 10 კალენდარულ დღეზე) რომელიც უნდა ინახებოდეს შესაბამის დაწესებულებაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების მიხედვით დალუქულ მდგომარეობაში (პროდუქტების ვარგისიანობის ვადა არ უნდა იყოს სამ თვეზე ნაკლები); აკონტროლოს პროდუქციის ვარგისიანობის ვადები, დროულად ჩაანაცვლოს იგი სამსახურის უფლებამოსილ პირებთან ერთად ხელახალი დალუქვის პროცედურების დაცვით.

8.1.7. ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში მომსახურებისათვის საჭირო არსებული ინვენტარი (დანართი №4) მიღება-ჩაბარების აქტით გადაიბაროს დროებით სარგებლობაში (ხელშეკრულების მოქმედების ვადით);

8.1.8. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ დაუბრუნოს შემსყიდველს გადაცემული ქონება მიღება-ჩაბარების აქტით ჩაბარებული ქონების რაოდენობის შესაბამისად; მიმწოდებელმა მიღება-ჩაბარების აქტით შემსყიდველს ასევე უნდა გადასცეს 8.1.16 პუნქტის საფუძველზე ჩანაცვლებული, ასევე 8.1.17 და 18.1 პუნქტების საფუძველზე შეძენილი ქონება (მოძრავი ნივთები, აღჭურვილობა, აგრეგატები და სხვ.) შესაბამისი რაოდენობებით, გამართულ მდგომარეობაში.

8.1.9. უზრუნველყოს მრავალჯერადი გამოყენების ინვენტარის, მომსახურების გაწევის პროცესში გამოყენებული ნებისმიერი საგნის სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით შენახვა და ექსპლუატაცია და საამისოდ შესაბამისი პირობების შექმნა. მიმწოდებელი უფლებამოსილია, მოსთხოვოს შემსყიდველს ამ პუნქტით დადგენილი ვალდებულების შესრულებისათვის აუცილებელი და

მიზანშეწონილი პირობების შექმნისათვის შესაძლებლობის მიცემა, თუ ეს არ ეწინააღმდეგება შემსყიდველის არსებით ინტერესებს ან/და არ იწვევს შემსყიდველისათვის დამატებითი ხარჯების გაწევას (ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ ხარჯებს, ამ შემთხვევაში, მიმწოდებელი თავად გაიღებს);

8.1.10. უზრუნველყოს კვალიფიციური პერსონალით მომსახურება, კერძოდ, ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვის ვადაში თითოეულ ობიექტს, სადაც ფუნქციონირებს სამზარეულო უნდა ჰყავდეს კვალიფიციური მზარეული, რომლის კვალიფიკაცია უნდა დადასტურდეს პროფესიული კურსის/პროგრამის გავლის დამდასტურებელი დოკუმენტით/სერტიფიკატით. არსებული პერსონალის გადამზადების პროცედურების დაგეგმვა უნდა განხორციელდეს შემსყიდველთან შეთანხმებით. შემსყიდველი უფლებამოსილია, მოითხოვოს პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი ინფორმაციის წარდგენა. პერსონალის დაუშვებლობის შესახებ შემსყიდველის მითითება სავალდებულოა შესასრულებლად მიმწოდებლისათვის. მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს მის მიერ დაქირავებულ პირებთან ურთიერთობის იმგვარად დაგეგმვა და გაფორმება, რომ შეიქმნას ამ პუნქტით დადგენილი ნორმების შესრულებისა და დაცვისათვის სათანადო წინაპირობები;

8.1.11. უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ამისათვის საჭირო რაოდენობის აუცილებელი წვრილმანი ინვენტარით (დანები, კოვზები, ჩამჩები, ჯამები, პატარა ქვაბები და პენიტენციურ დაწესებულებებში ნებადართული ინვენტარი), გაუფრთხილდეს მიღება-ჩაბარების აქტით გადაცემულ უძრავ-მოძრავ ქონებას, დაიცვას ინვენტარის სწორი ექსპლუატაციის და უსაფრთხო მოპყრობის წესები; არ გამოიყენოს მოძველებული, გაცვეთილი, დაზიანებული ან სხვა რაიმე არსებითი მიზეზის გამო უხარისხო ინვენტარი;

8.1.12. შემსყიდველის მიერ მივლენილი ინსპექტირების კომისიის მიერ დაწუნებული პროდუქტის ან მზა კერძის შესამოწმებლად ექსპერტიზაზე გადაცემის შემთხვევაში, მოხმარებიდან სრულად ამოიღოს აღნიშნული პროდუქტი ან მზა კერძი. დაუშვებელია პროდუქტის გამოყენება მიმწოდებლის მიერ პროდუქტის ვარგისიანობის შესახებ უტყუარი და სრული ინფორმაციის წარდგენამდე. მიმწოდებელი ვალდებულია, დაუყოვნებლივ მიაწოდოს შემსყიდველს ნებისმიერი ისეთი ინფორმაცია, რაც იძლევა პროდუქტის ვარგისიანობის შეფასების შესაძლებლობას;

8.1.13. უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პერიოდში ობიექტებზე სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების განუხრელად დაცვა იმგვარად, რომ გამოირიცხოს სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების ნებისმიერი დარღვევა; გაატაროს მავნე მწერებისა და მღრღნელების საწინააღმდეგო ღონისძიებები აუცილებელი ან/და რეკომენდებული სიხშირით; განათავსოს მწერებისაგან დასაცავი ბადეები, საჭერები და სხვა საშუალებები ობიექტებზე და მიიღოს სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევის მაქსიმალურად ეფექტიანი პრევენციის უზრუნველმყოფი ზომები;

8.1.14. მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნიდან გამომდინარე, მიმწოდებელი ვალდებულია შეისყიდოს და გამოიყენოს პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიერ ნაწარმოები საკვები პროდუქცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

8.1.15. ხელშეკრულების 5.2 პუნქტში მითითებულ თითოეულ პენიტენციურ დაწესებულებაში კვებითი მომსახურების გაწევისას დაასაქმოს არანაკლებ 5 (ხუთი) ბრალდებულისა/მსჯავრდებულისა, ხოლო თითოეულ პურის საცხობში – არანაკლებ 10 (ათი) ბრალდებულისა/მსჯავრდებულისა. დასაქმების მსურველი ბრალდებულის/მსჯავრდებულის არსებობის შემთხვევაში (გარდა იმ სამუშაოებისა, რომელთა შესასრულებლად ბრალდებულის/მსჯავრდებულის დასაქმება აკრძალულია პენიტენციური

დაწესებულების დებულებით ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიეკუთვნება სახელმწიფო საიდუმლოებას), თითოეული დასაქმებულის შრომის ანაზღაურება განისაზღვროს თვეში არანაკლებ 600 ლარისა; ამ პუნქტის შესაბამისად დასაქმებამდე წინასწარ შეათანხმოს შემსყიდველთან დასასაქმებელ პირთა კანდიდატურები; დაუყოვნებლივ (მაგრამ არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა) ჩაანაცვლოს ამ პუნქტის შესაბამისად დასაქმებული პირ(ებ)ი მისი/მათი გათავისუფლების შემთხვევაში (გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენს შემსყიდველის მითითება, თავად დასაქმებულის უარი სამუშაოს შესრულების გაგრძელებაზე ან სხვა მიზეზი, რაც შეუძლებელს ხდის შრომითი ურთიერთობების გაგრძელებას); უზრუნველყოს დასაქმებული ბრალდებულებისთვის/მსჯავრდებულებისთვის ჩვეულებრივი პირობები გონივრული მისადაგების პრინციპის დაცვით (მათ შორის, იზრუნოს მათი კვალიფიკაციისა და სხვა შესაძლებლობების განვითარებაზე და სხვ.);

8.1.16. საკუთარი ხარჯებით დროულად (ხოლო შემსყიდველის მოთხოვნით – დაუყოვნებლივ, ბრალეული გაჭიანურების გარეშე) აწარმოოს მასზე გადაცემული ინვენტარისა და ტექნიკის პერიოდული პროფილაქტიკური შემოწმება/შეკეთება, მიმდინარე/კაპიტალური შეკეთების სარემონტო სამუშაოები, ხოლო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ დაუბრუნოს შემსყიდველს მიღება-ჩაბარების აქტით გადაცემული ქონება გამართულ მდგომარეობაში (ინვენტარის ნუსხა მოცემულია დანართ №4-ში). იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ტექნიკა-დანადგარი მიმწოდებლის მიერ ექსპლუატაციის პროცესში დაზიანდა და არ ექვემდებარება შეკეთებას, ჩაანაცვლოს, სულ მცირე, ანალოგიური ტექნიკური პარამეტრების მქონე ტექნიკა-დანადგარით, ხოლო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ შემსყიდველს ჩანაცვლებული ქონება გადასცეს გამართულ მდგომარეობაში. ინვენტარისა და ტექნიკის მდგომარეობის შესახებ გეგმური შემოწმება ჩაატაროს კვარტალში ერთხელ მაინც, შემსყიდველის უფლებამოსილი პირების თანდასწრებით სათანადო ოქმის შედგენით;

8.1.17 უზრუნველყოს 2019-2022 წლებში შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ კვების მომსახურების გაწევის ადგილებზე სამზარეულოსათვის საჭირო აღჭურვილობის (მოწყობილობა-დანადგარები, ინვენტარი და ა.შ.) შეძენა-მონტაჟი საკუთარი ხარჯით. სამზარეულოს აღჭურვილობის ზუსტი სახეობა, ტექნიკური მახასიათებლები და რაოდენობა განისაზღვრება შემსყიდველის მიერ, ხოლო მიმწოდებლის მიერ გასაწევი ხარჯი წლების მიხედვით შეადგენს: 2019 წელი – 400,000 (ოთხასი ათასი) ლარს, 2020 წელი – 300,000 (სამასი ათასი) ლარს, 2021 წელი – 300,000 (სამასი ათასი) ლარს, 2022 წელი – 300,000 (სამასი ათასი) ლარს. თითოეულ წელს გაწეული ხარჯის ოდენობა (რომელშიც იგულისხმება მხოლოდ მატერიალური ფასეულობებით ობიექტების აღჭურვაზე უშუალოდ გაწეული ხარჯები, მათ შორის, მონტაჟზე გაწეული ხარჯები) უნდა დადასტურდეს სსიპ „ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან აკრედიტებული შემფასებელთა სერტიფიკაციის ორგანოს სერტიფიცირებული შემფასებლის მიერ, რომელიც უფლებამოსილია, გასცეს შესაბამისი დასკვნა ინვესტიციის ოდენობაზე. შემსყიდველი იტოვებს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის გადამოწმების უფლებას; გაწეული ხარჯის ოდენობა თითოეულ წელს არ უნდა იყოს ამ პუნქტით განსაზღვრულ ოდენობაზე ნაკლები, ამასთან იგი შესაძლებელია აღემატებოდეს წლის დადგენილ ოდენობას არაუმეტეს 5%-ით.

8.1.18. უზრუნველყოს მომსახურების გაწევის ადგილას საკომუნიკაციო გაყვანილობების და სავენტილაციო სისტემის გამართული ფუნქციონირება (კერძოდ: გაბიდვნის საწინააღმდეგოდ საკანალიზაციო სისტემის პრევენციული გაწმენდა, სანტექნიკისა და ელექტროსისტემების მოვლა-

პატრონობა, სავენტილაციო სისტემების პროფილაქტიკური წმენდა და ა.შ.), ხოლო დაზიანების შემთხვევაში – დაუყოვნებლივ შეკეთება ან ახლით ჩანაცვლება. ამ პუნქტით დადგენილი ვალდებულებები უნდა შესრულდეს იმგვარად, რომ გამოირიცხოს ამ თვალსაზრისით ხარვეზები;

8.1.19. კვებითი მომსახურების გაწევისას მასთან შრომით ურთიერთობაში მყოფ დასაქმებულს ყოველთვიურად აუნაზღაუროს გაწეული შრომის საფასური;

8.1.20. უზრუნველყოს ინსპექტირების ჯგუფის მიერ აღმოჩენილი ნაკლის აღმოფხვრა ან/და შეცვლა ბრალდებულისათვის/მსჯავრდებულისათვის საკვების მიწოდების განსაზღვრულ ვადაში;

8.1.21. გადაიხადოს მის მიერ მომსახურების პროცესში გაწეული კომუნალური გადასახადები. ამასთან, კომუნალური მომსახურების ხარჯების დაფარვის მიზნით თავისი ხარჯით უზრუნველყოს ცალკე (დამოუკიდებელ) აბონენტად დარეგისტრირება (დასარეგისტრირებელი ობიექტების სია წარმოდგენილია დანართი №6-ით);

8.1.22. გადაიხადოს ფართის იჯარა დანართი №6-ის მიხედვით;

8.1.23. საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი სახსრებით დროულად ჩაატაროს მიმდინარე სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები იჯარით გადაცემულ ფართზე;

8.1.24. არ იქონიოს პრეტენზია და მოთხოვნა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიმართ კვების შემდგომ მორჩენილი საკვების, მზა პროდუქტების, სხვა ნარჩენების განკარგვასთან დაკავშირებით; ამასთან, მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს დღის განმავლობაში კვების შემდგომ მორჩენილი და საკვებად ვარგისი საკვებისა და მზა პროდუქტების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შენახვა, დახარისხება, შესაბამისი ზომის გადასატან კონტეინერებში მოთავსება და ყოველი დღის ბოლოს (თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან - არაუგვიანეს 21:00 საათისა) შემსყიდველისათვის ან შემსყიდველის მიერ მითითებული პირისათვის გადაცემა. მიმწოდებელი ვალდებულია არ მოახდინოს ამგვარი საკვების ან მზა პროდუქტის ამ პუნქტით დადგენილისაგან სხვაგვარი დანიშნულებით გამოყენება;

8.1.25. პერმანენტულად აკონტროლოს მომხმარებელთა კმაყოფილების დონე და შეძლებისდაგვარად იზრუნოს ამ დონის შენარჩუნებისა და ზრდისთვის. შემსყიდველი უფლებამოსილია, თავად მოიძიოს ამავე საკითხთან დაკავშირებით არსებული ინფორმაცია (ინფორმაციის მოძიებისა და კვლევის ფორმები არ არის შეზღუდული) და წარუდგინოს ის მიმწოდებელს;

8.1.26. შეასრულოს შემსყიდველის, მათ შორის, მისი თანამდებობის პირების, მითითებები. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი არ ეთანხმება რომელიმე ასეთ მითითებას, უფლებამოსილია, საკითხი განსახილველად წარუდგინოს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალურ დირექტორს, მაგრამ საკითხის გადაწყვეტამდე მიმწოდებელი არ თავისუფლდება მითითების შესრულების/დაცვის ვალდებულებისაგან;

8.1.27. განუხრელად და პრიორიტეტულად დაიცვას პენიტენციურ დაწესებულებაში დადგენილი უსაფრთხოების ნორმები. ამ პუნქტით დადგენილი ვალდებულების ჯეროვნად შესრულებისათვის ვალდებულია, უზრუნველყოს საკუთარი დაქირავებული პირებისათვის შესაბამისი ნორმების გაცნობა და მათი მხრიდან ამ ნორმების დაცვა;

8.1.28. მიაწოდოს შემსყიდველს ინფორმაცია ყველა იმ მესამე პირის შესახებ, ვისგანაც იღებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით მომსახურებას ან საქონელს;

8.1.29. გამოყოს, სულ მცირე, ორი საკონტაქტო პირი და მიაწოდოს მათ შესახებ ინფორმაცია (მათი საკონტაქტო მონაცემები) შემსყიდველს. ასეთ პირთათვის ან ერთ-ერთი მათგანისათვის ინფორმაციის

მიწოდება ჩაითვლება მიმწოდებლის ინფორმირებად. ამ პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდება გულისხმობს ელექტრონულ ფოსტაზე, ტელეფონზე ან შესაბამის მისამართზე ინფორმაციის გაგზავნას.

8.1.30. მიმწოდებელი ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა კონკრეტული პენიტენციური დაწესებულებიდან ახალ პენიტენციურ დაწესებულებაში გადაადგილების შემთხვევაში ან/და ახალი პენიტენციური დაწესებულების გახსნის შემთხვევაში ვალდებულია, უზრუნველყოს ანალოგიური მომსახურება. აღნიშნული გარემოება არ წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულების გადახედვის საფუძველს, თუ მომსახურების მიმღებ პირთა რაოდენობა არ იზრდება, ან იზრდება არაუმეტეს 0.5%-ისა. ხელშეკრულების 11.4 პუნქტის შესაბამისად ხელშეკრულების ღირებულების გადასინჯვა მომსახურების მიმღებ პირთა რაოდენობის მატების გამო განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაიზარდა მომსახურების მიმღებ პირთა საერთო რაოდენობა ამ ხელშეკრულებაში მითითებულ სავარაუდო რაოდენობასთან შედარებით 0.5%-ზე მეტით.

8.1.31. მიმწოდებელმა უნდა გააგრძელოს კვებითი მომსახურების მიწოდება, იმ შემთხვევაშიც, თუ ამ ხელშეკრულების 8.1.1 პუნქტით განსაზღვრულ ბრძანებებში შევიდა ცვლილებები (მაგალითად: შეიცვალა დღიურ რაციონში შემავალი პროდუქტების ჩამონათვალი, ცვლილება შევიდა მენიუ-განრიგებში ან/და დაემატა ახალი კვების ნორმა და სხვა). აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე შესაძლებელია ხელშეკრულების ღირებულების გადახედვა შესაბამისი დასაბუთების და ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე.

8.1.32. ხორცის პროდუქტები (საქონლის ხორცი, ქათამი) უნდა იყოს არაგაყინული, ყოველ შემოტანილ პროდუქციას უნდა ახლდეს ვეტერინარული მოწმობები (ფორმა N2).

8.1.33 მიმწოდებელმა წელიწადში ერთხელ აღდგომის დღესასწაულისათვის უნდა უზრუნველყოს თითოეული ბრალდებულის/მსჯავრდებულისათვის 1 ცალი სააღდგომო პასკის მიწოდება, იმ პერიოდისათვის არსებული ბრალდებულების/მსჯავრდებულების რიცხოვნობის შესაბამისად.

8.1.34 შემსყიდველის წინასწარი შეტყობინების საფუძველზე მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ არასრულწლოვან ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის სადღესასწაულო (დაბადების დღის აღსანიშნავი) ნამცხვრის მიწოდება, მათზე გადასაცემად (წელიწადში არაუმეტეს 60).

8.1.35. მიმწოდებელი ვალდებულია, მიიღოს ყველა გონივრული ზომა წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 პუნქტით განსაზღვრულ კვებითი მომსახურების მიმღებ პირთათვის ზიანის მიყენების რისკის მაქსიმალურად შემცირების მიზნით. აღნიშნულ პირთა უფლებები და ინტერესები მხარეების მიერ პრიორიტეტულადაა აღიარებული. დაუშვებელია, მიმწოდებელმა უპირატესობა მიანიჭოს საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დაკმაყოფილებას, თუკი ამით გამოიწვევს მომსახურების გაწევის ნებისმიერ შესაძლო შეფერხებას ან/და კვებითი მომსახურების მიმღებ პირთა უფლებების შელახვას, ან ასეთი რისკის გაჩენას.

8.1.36. მიმწოდებელი არც ერთ შემთხვევაში არ არის უფლებამოსილი შეაჩეროს ან შეწყვიტოს მომსახურების ან მისი ნაწილის მიწოდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ასევე მისი შეწყვეტის ან მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ, თუ/ვიდრე შემსყიდველს არ ექნება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების სხვა საშუალებებით მიღების შესაძლებლობა და ამის შესახებ არ მიეწოდება ინფორმაცია მიმწოდებელს. ასეთ პირობებში მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება ექვემდებარება სრულად ანაზღაურებას.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1. უზრუნველყოს მიმწოდებელი 5.2 ქვეპუნქტით განსაზღვრულ დაწესებულებებში კვებისათვის აუცილებელი ოთახით და სამზარეულოს მოწყობილობა-დანადგარებით (დანართი №4-ის შესაბამისად);

8.2.2. საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს მიმწოდებელი ალტერნატიული ენერგომატარებლებით, წყალმომარაგებით და სხვა სახის კომუნალური მომსახურებით;

8.2.3. უზრუნველყოს კვების შემდგომ მორჩენილი საკვების, მზა პროდუქტებისა და ნარჩენების გატანა;

8.2.4. მიმწოდებლის მიმართ მაქსიმალურად უმტკივნეულოდ გამოიყენოს საკუთარი უფლებები – შეამოწმოს შემოტანილი პროდუქტის ხარისხი, ვარგისიანობის ვადა და რაოდენობა ობიექტზე მიწოდებისას და შემდგომ;

8.2.5. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

8.3. მხარეთა უფლებამოსილება:

8.3.1. შემსყიდველს უფლება აქვს, შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის (მომსახურების) ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით და სატენდერო წინადადებით გათვალისწინებულ პირობებთან. ამ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად საჭირო მექანიზმების არჩევის პროცესში შემსყიდველის შეზღუდვა დაუშვებელია. შემსყიდველი დამოუკიდებლად და საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრავს შემოწმების მასშტაბებს, ფორმებს, პერიოდულობას და ა.შ. ასეთი შემოწმების შედეგად ვალდებულებათა არაჯეროვანი შესრულების დადგენის შემთხვევაში, შემოწმების ხარჯები დაეკისრება მიმწოდებელს;

8.3.2. მიმწოდებელს უფლება აქვს, მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის/გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

მუხლი 9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას თითოეული დარღვევისათვის ცალ-ცალკე, წინამდებარე ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

9.2. ერთი მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია, მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის;

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით;

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასა და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობა;

9.5. უხარისხო მზა საკვები პროდუქტის მიწოდების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.01%-ის ოდენობით. აღნიშნული პირგასამტეხლო დაანგარიშდება თითოეულ უხარისხო მზა კერძზე ან მზა პროდუქტზე. პირგასამტეხლო არ გამოიყენება მიმწოდებლის მიერ შესაბამის ვადაში დაწუნებული პროდუქტის ჩანაცვლების შემთხვევაში;

9.6. სამზარეულო და სასაწყობე სივრცეში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევისას მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.03 %-ის ოდენობით;

9.7. უხარისხო ან ვადაგასული პროდუქტების აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.01%-ის ოდენობით უხარისხო ან ვადაგასული პროდუქტის თითოეულ სახეობაზე;

9.8. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით;

9.9. მიმწოდებლის მიზეზით საუზმისთვის (მომზადების დრო არაუგვიანეს 09:00 საათისა), სადილისთვის (არაუგვიანეს 14:00 საათისა), ვახშმისთვის (არაუგვიანეს 19:00 საათისა) განკუთვნილი ულუფის 30 (ოცდაათი) წუთზე მეტით დაგვიანების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.03%-ის ოდენობით;

9.10. ამ ხელშეკრულების 9.9. მუხლით გათვალისწინებული საუზმისთვის, სადილისა და ვახშმისთვის განკუთვნილი დრო შესაძლებელია, შემსყიდველის მიერ შეიცვალოს კონკრეტული დაწესებულების დღის განრიგის შესაბამისად;

9.11. ხელშეკრულების 8.1.1, 8.1.2, 8.1.3, 8.1.4, 8.1.8, 8.1.9, 8.1.10, 8.1.11, 8.1.12, 8.1.13, 8.1.14, 8.1.15, 8.1.16, 8.1.17, 8.1.18, 8.1.19, 8.1.20, 8.1.21, 8.1.22, 8.1.23, 8.1.24, 8.1.27, 8.1.29, 8.1.30, 8.1.31, 8.1.32, 8.1.33, 8.1.34 მუხლების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს პირგასამტეხლო ეკისრება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.03%-ის ოდენობით;

9.12. ხელშეკრულების 8.1.5, 8.1.6 და 8.1.7. მუხლების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს პირგასამტეხლო ეკისრება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,01%-ის ოდენობით;

9.13. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ არ შესრულდა/არაჯეროვნად შესრულდა ხელშეკრულებითა და სატენდერო წინადადებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება და აღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობის/არაჯეროვნად შესრულებისათვის არ არის გათვალისწინებული პირგასამტეხლო ამ ხელშეკრულების მე-9 მუხლით, შემსყიდველს უფლება აქვს, მოსთხოვოს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.03%-ის ოდენობით;

9.14. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად მხარეები აცხადებენ და ადასტურებენ, რომ მიმწოდებელს არცერთი გარემოება ან/და ვითარება არ მიანიჭებს მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისაგან თავის შეკავების ან მისი შეჩერების უფლებას.

მუხლი 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 33-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, განისაზღვრება ხელშეკრულების ორმხრივად ხელმოწერის დღიდან 2023 წლის 31 იანვრის ჩათვლით;

მუხლი 11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არ აქვს უფლება, ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;

11.2. წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობის შემთხვევაში, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია, წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ნებისმიერი ინფორმაცია ცვლილებების შესახებ. ცვლილება ხელშეკრულებაში შეტანილად ჩაითვლება მეორე მხარის მიერ ცვლილებაზე ხელმოწერის დღიდან;
11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ურთიერთშეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;
11.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების (მათ შორის, ფასის) შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რომელთა დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 12. ფორსმაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებების ზემოქმედებით, რომელთა დადგომა ან/და არსებობა არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს (მაგ. წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე, ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებს ხელშეკრულების შესრულებაზე);
12.2. ფორსმაჟორული გარემოების დადგომისთანავე მხარე ვალდებულია, დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია მეორე მხარეს შექმნილი ვითარების, მისი წარმოშობის თარიღის, მიზეზების, სავარაუდო ხანგრძლივობის შესახებ. ეს წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ფორსმაჟორულ გარემოებათა დადგომა სავარაუდოა. ინფორმაცია უნდა მიეწოდოს წერილობით, რომელსაც დაერთვება ამ მუხლით დადგენილი გარემოებების ამსახველი/დამადასტურებელი დოკუმენტები და სხვა მასალები. წერილობითი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა ასეთ გარემოებათა შესახებ ინფორმაციის რომელიმე მხარის მიერ მიღებიდან. მიწოდების ვალდებულება ვრცელდება შემდგომში მოპოვებულ ამავე გარემოებებთან დაკავშირებულ ინფორმაციასა და დოკუმენტაციაზე. მხარეები ვალდებულნი არიან, წერილობით შეტყობინებამდე მიიღონ ზომები და უზრუნველყონ მეორე მხარის ინფორმირება პირდაპირი კომუნიკაციის საშუალებებით;
12.3. ამ მუხლის 12.2. პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს ერთმევა ვალდებულების დარღვევის გამოსარიცხად ფორსმაჟორულ გარემოებებზე მითითების უფლება;
12.4. იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ფორსმაჟორულ გარემოებათა ზემოქმედება ხელშეკრულების მხოლოდ ნაწილზე, ხელშეკრულება უნდა მიესადაგოს შეცვლილ გარემოებებს იმგვარად, რომ მისი მოქმედება არ გავრცელდეს უშუალოდ ამ ნაწილით განსაზღვრულ ვალდებულებებზე. ფორსმაჟორულ გარემოებათა ზემოქმედება არ ათავისუფლებს შესაბამის მხარეს ხელშეკრულებით დაკისრებული დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან;
12.5. იმ შემთხვევაში, თუ ფორსმაჟორულ გარემოებათა მოქმედება ვრცელდება 60 (სამოცი) კალენდარულ დღეზე მეტ ხანს ან იმთავითვე აშკარაა, რომ ფორსმაჟორულ გარემოებათა ზემოქმედება შენარჩუნდება ასეთი ხანგრძლივობით, მხარეები მოქმედებენ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 398-ე მუხლით დადგენილი წესების შესაბამისად; ხოლო თუ ეს ვადები არ აღემატება ზემოაღნიშნულ

ხანგრძლივობას, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულებამდე;
12.6. ფორსმაჟორული გარემოება მხედველობაში მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი გარემოება დადასტურებული იქნება კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ.

მუხლი 13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია, შესყიდვის ობიექტის (მომსახურების) მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის (მომსახურების) შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან; შეამოწმოს კვების პროდუქტების ხარისხი და წარმომავლობა, ჩაატაროს ლაბორატორიული კვლევა მიწოდებულ პროდუქტზე;
13.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ინსპექტირების კომისია, შესაბამისი დაწესებულების დირექტორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი. ეს არ ზღუდავს შემსყიდველს, რომ განახორციელოს სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების კონტროლი სხვა გზებითა და საშუალებებით;
13.3. შემსყიდველის მიერ ინსპექტირების შედეგად რომელიმე პროდუქტის ან მზა კერძის ხარისხის დაწუნების შემთხვევაში, დაწუნებული მზა კერძი ან პროდუქტი დაუყოვნებლივ უნდა შეიცვალოს;
13.4. საჭიროების შემთხვევაში, დაწუნებული პროდუქტი ან მზა კერძი შესამოწმებლად გადაეცემა შემსყიდველის კონტრაქტორ ექსპერტიზის ბიუროს/ლაბორატორიას. შეუსაბამობის დადასტურების შემთხვევაში, ექსპერტიზის/ლაბორატორიის ხარჯებს აანაზღაურებს მიმწოდებელი;
13.5. წუნდებული პროდუქტის ან მზა კერძის მიმწოდებელი კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის, მათ შორის, ვალდებული იქნება, აანაზღაუროს ამოღებული მზა კერძის, ტრანსპორტირების, ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში მკურნალობის და სხვა ხარჯები;
13.6. იმ შემთხვევაში, თუ ინსპექტირების კომისიის მიერ შედგენილ ოქმს/აქტს დაეთანხმება მიმწოდებლის წარმომადგენელი, აღნიშნული აქტის საფუძველზე გამოყენებული პირგასამტეხლო არ იქნება მხარეებს შორის სადავო;
13.7. ინსპექტირების კომისია ვალდებულია, მზარეულთან/მიმწოდებლის წარმომადგენელთან ერთობლივად უზრუნველყოს თითოეული მზა კერძის ნიმუშის/სინჯის აღება, სათანადო წესით დალუქვა და 48 (ორმოცდარვა) საათის განმავლობაში შესაბამის პირობებში შენახვა დაწესებულების ზედამხედველობის ქვეშ, რაზეც დგება შესაბამისი ოქმი.

მუხლი 14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. შემსყიდველს შეუძლია, მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისთვის ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემდეგ, თუ:
14.1.1. მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება;
14.1.2. მიმწოდებელს არ შეუძლია, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

14.1.3. მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისთვის დაჯარიმდა წელიწადში სამჯერ ან/და ხელშეკრულების პირობების დარღვევამ გამოიწვია ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა, გარე დაცვის სამმართველოს სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა და სპეციალური დანიშნულების ძალების მთავარი სამმართველოს მოსამსახურეთა მასობრივი მოწამვლა, პენიტენციური სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის ხელის შეშლა ან სხვა ისეთი პირობების შექმნა, რაც სამსახურისათვის გაართულებს დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესრულებას (აღნიშნული გარემოების გამო ხელშეკრულების შეწყვეტა წარმოადგენს შემსყიდველის უფლებას და არა ვალდებულებას);

14.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობის შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულების შესრულებისაგან.

14.3. შემსყიდველს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, აგრეთვე, თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ან არსებითად გაიზარდა ასეთი შეუსრულებლობის რისკი.

14.4. შემსყიდველს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, თუ:

14.4.1. მიმწოდებელი დანიშნულებისამებრ არ იყენებს მიღება-ჩაბარების აქტით გადაცემულ ქონებას ან/და არღვევს ხელშეკრულების სხვა პირობებს;

14.4.2. მიმწოდებელი განზრახ ან გაუფრთხილებლობით აუარესებს მიღება-ჩაბარების აქტით გადაცემულ ქონებას ან ქმნის დაზიანების საფრთხეს და არ აღმოფხვრის დაუყოვნებლივ ასეთ საფრთხეს;

14.4.3. ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

14.4.4. მიმწოდებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ასრულებს არაჯეროვნად;

14.4.5. მიმწოდებელი ხელს უშლის შემსყიდველს კონტროლის უფლებამოსილებების განხორციელებაში ან არ აწვდის ამავე მიზნებით მოთხოვნილ ინფორმაციას, ან გამოვლინდა შეგნებულად არასწორი ინფორმაციის მიწოდების ფაქტი შემსყიდველისათვის.

14.5. მიმწოდებლის მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურება დაეკისრება მიმწოდებელს.

14.6. იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს სახელშეკრულებო მოვალეობათა დარღვევას მიმწოდებლის მხრიდან, შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის ნაცვლად თვითონ ან სხვა პირთა მეშვეობით შეასრულოს მომსახურება, რისი ხარჯებიც მთლიანად დაეკისრება მიმწოდებელს.

14.7. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, განაგრძოს ვალდებულებათა შესრულება, თუკი ამას მოითხოვს მისგან შემსყიდველი. ასეთ შემთხვევაში, ვალდებულებათა შესრულების გაგრძელების მოთხოვნა დასაშვებია არაუმეტეს 3 (სამი) თვის განმავლობაში.

მუხლი 15. კონფიდენციალურობა

15.1. მხარეები ვალდებულნი არიან, გაუფრთხილდნენ ერთმანეთის საკუთრებას, არ გახადონ მესამე პირთათვის ცნობილი ყველა ის ინფორმაცია, რომლებიც ითვლება კონფიდენციალურად, და უზრუნველყონ, რომ ასეთ დარღვევას არ ჰქონდეს ადგილი მათ მიერ დაქირავებული პირების მხრიდან;

15.2. ვალდებულება კონფიდენციალურობის შესახებ ძალაში რჩება ხელშეკრულების ვადის დასრულების შემდეგაც;

15.3. მხარეები ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ სამართლებრივი მექანიზმების გამოყენება საკუთარ თანამშრომლებსა და დაქირავებულ პირებზე ანალოგიური ვალდებულებების გავრცელების მიზნით.

მუხლი 16. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

16.1. მიმწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმებიდან -------- წლის ----------ის ჩათვლით უნდა წარმოადგინოს ---------- (----------) ლარის ოდენობის ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია;

16.2. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია ძალაში უნდა იყოს არანაკლებ ------- წლის ----------ის ჩათვლით;

16.3 ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 17. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

17.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია, გადაწყდეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების გზით;

17.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

17.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 18. სარგებლობაში გადაცემული უძრავი ნივთის გამოყენების პირობების შესახებ

18.1. მიმწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს სამი თვის ვადაში უნდა მოაწყოს პურის საცხობები და განათავსოს ექსპლუატაციისათვის ვარგისი მანქანა - დანადგარები, მოწყობილობები და საჭირო ინვენტარი შემსყიდველის მიერ საამისოდ წინასწარ განსაზღვრულ ფართზე პენიტენციური დაწესებულებების ტერიტორიაზე (ორი აღმოსავლეთ და ერთი დასავლეთ საქართველოში). თითოეულ პურის საცხობს უნდა გააჩნდეს ყოველდღიურად არანაკლებ 2500 კგ. პურის წარმოების შესაძლებლობა.

18.2 ამ ხელშეკრულების 1.2. მუხლით განსაზღვრული უძრავი ნივთებით სარგებლობა გულისხმობს პურის მწარმოებელი საწარმოს ფუნქციონირების უზრუნველყოფას, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

18.1.1. თითოეული იმ პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ საწარმოში, სადაც გათვალისწინებულია ასეთი საწარმოს არსებობა, ერთდროულად დასაქმებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რაოდენობა არ უნდა იყოს 10-ზე ნაკლები;

18.1.2. მიმწოდებელი ვალდებულია, დაიცვას უსაფრთხოებისა და სხვა ნორმები იმავე სტანდარტების დაცვით, რაც ზოგადად დადგენილია ამ ხელშეკრულებით;

18.3. პურის საცხობების მოწყობამდე მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს კვებითი მომსახურების გაწევის მიზნით საჭირო რაოდენობის პურის მიწოდება გარე ქსელიდან.

18.4. მხარეები ცალკე შეათანხმებენ დამატებით პირობებს საწარმოების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხების მოსაწესრიგებლად, რაც იქცევა ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად. ასეთი შეთანხმება უნდა გაფორმდეს ამ ხელშეკრულების დადებიდან მომდევნო ---------- (----------

----------) დღის ვადაში. შეთანხმების ამ ვადაში გაუფორმებლობა ანიჭებს შემსყიდველს უფლებას, უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე.

18.5. ამ მუხლით დადგენილი რომელიმე პირობის დარღვევა წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით დარღვევას. მისი შესრულების დაბრკოლება იწვევს ხელშეკრულების შეწყვეტის უფლების წარმოშობას მეორე მხარისათვის.

მუხლი 19. სხვა პირობები

19.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

19.2. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

19.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

19.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. მათგან ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი – მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა უნდა შესრულდეს ქართულ ენაზე;

19.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მათი წერილობითი ფორმით შედგენისა და მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ.

მუხლი 20. მხარეთა რეკვიზიტები